საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№1135 2016 წლის 13 ივნისი ქ. თბილისი

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების მიზნით ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 აპრილის №575 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების მიზნით ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 აპრილის №575 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.ბ) კაფე-რესტორნის მინისა და ლითონის კონსტრუქციების დამზადება-მონტაჟის, ანაკლია-განმუხურის სანაპირო ზოლზე დამატებითი ინფრასტრუქტურის შექმნისა და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელების, საერთაშორისო ელექტრონული მუსიკის ფესტივალის „GEM FEST“-ის და სხვა კულტურულ–გასართობი ღონისძიებების პოპულარიზაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელების, ასევე შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS“-ის 2015-2016 წლების

ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ხარჯებისათვის 420 000 (ოთხას ოცი ათასი) ევროს ეკვივალენტი ლარი;".

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი